ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №237769

ნომერი: AR160542

თარიღი : 21.06.2012

გაცემის თარიღი : 28.06.2012

გაცნობის თარიღი : 28.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 47 , კვარტალი I , კორპუსი 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ ქურდაძე პ/ნ 01017000867
- თბილისი თემქა XI მ/რ I კვ. კორ. 20 ბ. 38

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ,,ეი & თი ჯგუფი" კოდი: 200249819

ნომენკლატურა :
- I კლასი
- ბანკომატის განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ბანკომატის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზირი #47, I კვარტალი, კორპუსი #2-ში, შ.პ.ს. "ბიბლუსი"-ს კუთვნილ ფართში ბანკომატის განთავსებას, პასუხად გაცნობებთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "ბიბლუსი"-ს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882011407879 24.08.11წ. საკადასტრო კოდი #01.14.03.030.001.01.501; შ.პ.ს. "ბიბლუსი"-ს დირექტორის თანხმობა; ს.ს. "პრივატბანკი"-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მინდობილობა #108თ 05.06.12წ.; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზირი #47, I კვარტალი, კორპუსი #2-ში, შ.პ.ს. "ბიბლუსი"-ს კუთვნილ ფართში ბანკომატის განთავსების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge